საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
თვითმმართველობა და განვითარება
www.intellect.org.ge
№22 / 2012

პირველი რეგიონალური კონფერენცია მუნიციპალური განვითარების საკითხებზე

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიუძღვნა.

„აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გამოწვევები და პერსპექტივები“ – ასე ერქვა კონფერენციას, რომელიც პირველ ივლისს სასტუმრო რედისონში გაიმართა.

კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურისა და ხულოს თვითმმართველობის ორგანოების, აკადემიური და ბიზნესწრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები.

კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო სამთავრობო, თვითმმართველობის, საზოგადოებრივი, აკადემიური და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს ერთობლივად, ერთ სივრცეში ემსჯელათ და გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის საკუთარი მოსაზრებები და ხედვები რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

კონფერენცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარემ – ლევან გობაძემ გახსნა. მან ისაუბრა კონფერენციის ჩატარების წინაპირობებზე, იდეასა და მოლოდინებზე. „ინტელექტის“ ხელმძღვანელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტის „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ (რომლის ფარგლებშიც ჩატარდა კონფერენცია) მიზნები, ამოცანები და მიღებული შედეგები, აგრეთვე ისაუბრა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილზე საქართველოს რეგიონალური განვითარების სტრატეგიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში, პროექტის რეალიზაციით მიღებული შედეგების კონტექსტში.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა – გია აბულაძემ.

კონფერენციის პირველი სესია დაეთმო პლენარულ მოხსენებებს, რომელზეც მომხსენებლებმა ისაუბრეს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში არსებულ მდგომარეობაზე, განვითარების პერსპექტივებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა მინური აბულაძემ ისაუბრა რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებულ სოციალურ გამოწვევებზე. თავის გამოსვლაში მან ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა – სიღარიბის დონე მუნიციპალიტეტებში და მისი ვარიაციები ტერიტორიული, სოციალური, გენდერული და ასაკობრივი ნიშნებით, სიღარიბის დაძლევის გზებსა და საშუალებებზე.

მომდევნო მომხსენებელი, ვინც მსმენელის წინაშე წარსდგა, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ წარმომადგენელი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ასლან დევაძე იყო. მისი გამოსვლის ძირითად თემას წარმოადგენდა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიგრაციის პრობლემები. მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მიგრაციის სხვადასხვა ფორმასა და მათ გამომწვევ ძირითად ფაქტორებზე.

განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და განვითარების მიმართულებები, განათლების რეფორმის შედეგები, სასკოლო განათლების ხარისხი და მისი მენეჯმენტი, პროფესიული და სახელობო განათლება რეგიონის მუნიციპალიტეტებში – ეს იმ საკითხთა მცირე ჩამონათვალია, რომელზეც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლებისა და სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსმა ნაზიბროლა ბერიძემ ისაუბრა.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე, ხარისხზე, საკადრო უზრუნველყოფაზე, არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამაზ კარანაძემ.

ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა – ამირან ტაკიძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა ადამიანურ კაპიტალზე, როგორც რეგიონის ეკონომიკური განვითარების მთავარ რესურსზე.

კონფერენციის მეორე ნაწილი მთლიანად მიეძღვნა სექციურ მუშაობას. სულ შეიქმნა ექვსი სექცია, რომლებიც დაკომპლექტდა სახელმწიფო, არასამთავრობო, აკადემიური და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებით, დამოუკიდებელი ექსპერტებით.

სექციების თემატიკა განისაზღვრა შემდეგნაირად:

– ჯანდაცვისა და სოციალური სფერო;

– განათლება;

– საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგომარეობა მუნიციპალიტეტებში. სექტორებს შორისი თანამშრომლობის მდგომარეობა და პერსპექტივები;

– მუნიციპალური დარგობრივი კლასტერები რეგიონში. შესაძლებლობები და ბარიერები კლასტერული განვითარებისათვის;

– ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის მართვა. განვითარების ორგანიზაციული სამართლებრივი და ფინანსური ასპექტები;

– საკუთრების რეგისტრაცია და იპოთეკური დაკრედიტების ბაზრის ზრდის პერსპექტივები.

კონფერენციის მესამე ნაწილი დაეთმო სექციების მუშაობის შედეგების განხილვას.

სექციების მოდერატორებმა: თინათინ ზარდიაშვილმა, გიორგი მასალკინმა, პარმენ ჯალაღონიამ, ასლან დევაძემ, ლევან გობაძემ და მურმან ცეცხლაძემ კონფერენციის მონაწილეებს გააცნეს საკუთარ სექციებში მუშაობის შედეგები (სექციების მუშაობის შედეგებს ჩვენი ჩანართის მომდევნო ნომერში გაგაცნობთ. ავტ.).

უნდა აღინიშნოს, რომ სექციებში მუშაობა წარიმართა აქტიურად და საინტერესოდ, რამაც შესაძლებელი გახადა კომპეტენტური და ობიექტური შეფასებები მისცემოდა არსებულ პრობლემებს, დასახულიყო გადაჭრის შესაძლო გზები და განსაზღვრულიყო პრობლემათა გადაჭრის რესურსები.

დასასრულს კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები კონფერენციის მუშაობის შესახებ:

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები“ პასუხისმგებელი არ არის

პირველი რეგიონალური კონფერენცია მუნიციპალური განვითარების საკითხებზე

დასაწყისი გვ. 7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი კონფერენციები აუცილებლად წაადგება რეგიონის მუნიციპალიტეტებს განვითარების საქმეში: „ინტელექტი“ სწავლობს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც მოიცავს ყველა სფეროს. სწორედ ამ სფეროების სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენდა დღევანდელი შეხვედრის მთავარ თემას. დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობების ერთმანეთისგან დაშორება. „ინტელექტის“ მიერ აღნიშნული ღონისძიების ორგანიზება კი ამ ორი საქმიანობის დაახლოების მცდელობაა. მართალია, ეს უცებ ვერ მოხდება, მაგრამ ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რაც რეგიონის მუნიციპალიტეტებს პრაქტიკულ საქმიანობაში აუცილებლად წაადგება“.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე ამბობს, რომ მათი სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან – „ვცდილობთ, რომ ჩვენი პროგრამები და ახალი პროგრამების პროექტები გავაცნოთ მათ, რათა მათგან მივიღოთ ის წინადადებები და შენიშვნები, რაც გააუმჯობესებს პროგრამების განხორციელებას და შედეგებიც კარგი გვექნება. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ინტელექტს მინდა მადლობა გადავუხადო საინტერესო კონფერენციის ორგანიზებისათვის. დღეს სამინისტრომ წარმოადგინა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, სტრატეგიები და ის პროექტები, რომლებიც უკვე მიმდინარეობს. აქ გამართული დისკუსიები კი ძალიან მნიშვნელოვანია სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისათვის“.

„ინტელექტთან დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს, ამ ხნის მანძილზე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება იმისათვის, რომ ურთიერთობის სხვა ეტაპზე გადავსულიყავით. დღევანდელი კონფერენცია კი ამის ნათელი მაგალითია. ვფიქრობ, კონფერენციაზე განხილული საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტისათვის. სექციებში განვიხილეთ, თუ რომელი მუნიციპალიტეტისათვის რომელი საკითხია აქტუალური. დავსახეთ პრობლემების გადაჭრის გზებიც. ვიმედოვნებ, შედეგები აუცილებლად გამოადგება თვითმმართველობებს საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში“ – აღნიშნა ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი ბარამიძემ.

ასოციაცია „გენეზისის“ ბათუმის ფილიალის დირექტორი, ხათუნა ფაღავა კმაყოფილია როგორც ფორმატით, ისე კონფერენციის მონაწილეებით: „ფორმატი საინტერესო და პროდუქტიული იყო, კარგად შერჩეული წარმომადგენლებით, რომლებთანაც მუშაობის პროცესი კომფორტულად წარიმართა. ერთადერთი უნუგეშო ფაქტი დღევანდელი დისკუსიის შედეგად არის ის, რომ ძირეული სისტემური ცვლილებების გარეშე, მუნიციპალიტეტის დონეზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდება, ხოლო რომ მოხდეს, ამისთვის საჭიროა სისტემის გაუმჯობესება. სექციაში ვისაუბრეთ ჯანდაცვის სისტემის ნაკლოვან და დადებით საკითხებზე. სექციის მონაწილე მხარეები – არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიაში და კონსტრუქციული, ჯანსაღი და გულწრფელი მსჯელობა წარიმართა. დიდი მადლობა ინტელექტს მსგავსი საკითხების საჯაროდ გამოტანისათვის“.

„კიდევ ერთი შინაარსიანი დღე გავატარე ჩემს კოლეგებთან ერთად. საკითხი, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმას, ძალიან კარგად იყო წარმოდგენილი. წარმოუდგენელია, იმ ადამიანების მცირე ჯგუფმა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ინტელექტში, როგორ შეძლეს საკითხის ასე კარგად დამუშავება და მომზადება. კონფერენცია საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურის მთელი სპექტრი იყო წარმოდგენილი. მათ გააკეთეს ძალიან საინტერესო მოხსენებები სხვადასხვა დარგზე. კონფერენციის კულმინაციას წარმოადგენდა ურთიერთ თანამშრომლობის გეგმის დასახვა. თითოეულმა სექციამ თავისი წარმატებული მუშაობის შედეგების პრეზენტაცია წარადგინა. კარგი იქნება, თუ მსგავსი კონფერენციები ხშირად გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების დაახლოებას, რაც სამომავლოდ მათი საქმიანობის შედეგებზე აისახება“ – განაცხადა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა ემზარ ძირკვაძემ.

P.S.კონფერენციის ორგანიზატორები, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გარდა, იყვნენ აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის: ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები. კონფერენციის პარტნიორი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო კონფერენციის საინფორმაციო მხარდამჭერები იყვნენ – აჭარის ტელევიზია, დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ტელეარხი 25“, გაზეთები: „ბათუმელები“ და „აჭარა“.

ქედაში მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა განიხილეს

21 ივნისს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ქედის მუნიციპალიტეტში, საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელიც პროექტის „აჭარის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობის გაძლიერება გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში შედგა. შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქედის მუნიციპალიტეტის 2012—2022 წლების სოციალურ—ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის განხილვა. გეგმა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივ სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავა. სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს საზოგადოებრივი და ეკონომიკური სფეროს ყველა ასპექტს: სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, გადამამუშავებელ მრეწველობას, ბუნებრივ რესურსებს, განათლებას, კულტურას, სპორტს და ა.შ.

შეხვედრა, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ეკონომიკის ექსპერტი ნონა ხუჯაძე უძღვებოდა, დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. შეხვედრის მონაწილე მხარეებმა იმსჯელეს სტრატეგიული გეგმის მნიშვნელობაზე, მის როლზე მუნიციპალიტეტის განვითარებაში და შეჯერდნენ სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვარიანტზე, რომელიც უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მთავარი დოკუმენტის სახეს მიიღებს.

შეხვედრის მონაწილეების მიერ აღინიშნა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნა მოხერხდა. სტრატეგიულ გეგმაში სრულყოფილად არის ასახული მუნიციპალიტეტის პოტენციალი და განვითარების რეალური გზები.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის “აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის” ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 241650, ფაქსი: 241640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები“ პასუხისმგებელი არ არის